

**ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**  
**მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულება - „ყულაბა“ #12345-Saving-12345**

DD.MM.YY

**ანაზრის საპროცენტო განაკვეთი**

ანაზრის საპროცენტო განაკვეთის

ტიპი: ცვლადი

ანაზრის წლიური საპროცენტო

განაკვეთი: 7.5%

ანაზრის ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი: მაგალითად: თუ ანაზრის გახსნისას კლიენტი შემოიტანს 1000 ერთეულს და ყოველი თვის 1 რიცხვში საანაზრო ანგარიშზე განათავსებს (შეიტანს/ჩარიცხავს) 50 ერთეულს ანაზრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება 7.76%.

**სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია**

ანაზრის (დეპოზიტის) მოცულობა: 0 ლარი

მეანაზრეს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება.

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:**

- თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.
- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით.
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე - 032 2406 406.

**მოთხოვნამდე ანაზრის ხელშეკრულება #12345-Saving-12345**

DD.MM.YY

ერთი მხრივ, **სს “თიბისი ბანკი”** (შემდგომში “ბანკი”) და მეორე მხრივ, \_\_\_\_\_ (შემდგომში „მეანაზრე“ / „კლიენტი“) (პირადი ნომერი:) მხარეთა შორის დადებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში “პირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის”) საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1 ბანკი მეანაზრეს უხსნის საანაზრო ანგარიშს, რომელზეც მეანაზრეს შეეძლება თანხის შეუზღუდავად შეტანა და ჩარიცხვა.
- 1.2 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკი მონაწილეობს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხა ანაზღაურდება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ 15 000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდს: [www.diagency.ge](http://www.diagency.ge).

**2. ანაზრის პირობები**

- 2.1 ანაზრის ტიპი: მოთხოვნამდე
- 2.2 ანაზრის ვალუტა: ლარი
- 2.3 საპროცენტო განაკვეთი: წლიური 7.5%
- 2.3.1 ანაზრის საპროცენტი განაკვეთის ტიპი: ცვლადი
- 2.4 საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდულობა: ყოველდღიური
- 2.5 დარიცხული საპროცენტო სარგებლის რეალიზაციის პერიოდულობა: თვეში ერთხელ, ყოველი კალენდარული თვის პირველ დღეს
- 2.6 თანხის შეტანის და გატანის შესაძლებლობა: შეუზღუდავი
- 2.7 მინიმალური მოთხოვნები ანაზრის გახსნისთვის: 0 ლარი
- 2.8 მინიმალური მოთხოვნები საპროცენტო სარგებლის მიღებისთვის: მეტია 0 ლარზე
- 2.9 განაღდება სფეის ბარათით: 0ლ (თიბისის და პარტნიორ ბანკომატებში)
- 2.10 ანგარიშის გახსნის საკომისიო: არ აქვს

**3. ანაზრე სარგებლის დარიცხვის პირობები**

- 3.1 ანაზრს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტში მითითებული განაკვეთის მიხედვით ამ ხელშეკრულების 5.2.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით და ვებგვერდზე - [www.space.ge](http://www.space.ge) განთავსებული ავტომატური დაგროვების სერვისის („Space ყულაბა“) პირობებით გათვალისწინებული წესით.
- 3.2 დარიცხვა დაიწყება საანაზრო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის განთავსების მომენტიდან.
- 3.3 ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს, საანაზრო ანგარიშზე დღის განმავლობაში დაფიქსირებულ მინიმალურ ნაშთს (ხელუხლებელ თანხის მოცულობას) ამ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული პერიოდულობით.
- 3.4 იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაზრის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება ისე, რომ იგი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის და/ან საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; ბ) ანაზრის პირობები (მათ შორის საპროცენტო განაკვეთი) არ/აღარ შეესაბამება ბანკის მიმდინარე პოლიტიკას; გ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) წინამდებარეს ანაზრის საპროცენტო განაკვეთი და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა და/ან მოთხოვნამდე ანაზრის საპროცენტო სარგებლის დარიცხვის მეთოდი და/ან ვებგვერდზე - [www.space.ge](http://www.space.ge) განთავსებული ავტომატური დაგროვების სერვისის („Space ყულაბა“) პირობები. ამგვარი ცვლილებ(ებ)ის შესახებ, ბანკი მეანაზრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ხოლო თუ იცვლება ანაზრთან

დაკავშირებული სხვა „საფინანსო პროდუქტის“ ფასი, ამგვარი ცვლილების შესახებ მენაბრის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით.

#### 4. ანაბრის შეწყვეტის პირობები

- 4.1 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ანაბრის ხელშეკრულების მოქმედება და/ან დახუროს საანაბრო ანგარიში მენაბრის მიერ ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების) დარღვევის, საანაბრო ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არარსებობის და/ან საანაბრო ანგარიშის მუშეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის გადარიცხვა / ჩარიცხვა კლიენტის ანგარიშიდან). ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.
- 4.2 მომხმარებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება (ანაბარი). მენაბრის მოთხოვნით ანაბრის შეწყვეტისათვის პირგასამტეხლო არ არის დადგენილი.

#### 5. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 5.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შევა კლიენტის მიერ ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხის - Space-ის (დისტანციური არხის) საშუალებით მისი დადასტურების (ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის გაცხადების) მომენტიდან და იმოქმედებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანად შესრულებამდე.
- 5.2 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მენაბრის განაცხადს საანაბრო და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც მენაბრე ადასტურებს, რომ:
  - 5.2.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკის ვებგვერდზე [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge) განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულების მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით;
  - 5.2.2 თანახმაა, სს „თიბისი ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მისი პერსონალური მონაცემები;
  - 5.2.3 ამ ხელშეკრულებას დებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის და არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან (“შელ ბანკთან”) და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საექვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გაფორმებული და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო და/ან შესრულდება ეს გარიგება არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;
  - 5.2.4 თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) და/ან მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში), საანაბრო ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის შეტანის/ჩარიცხვის და/ან საანაბრო ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის გატანის/გადარიცხვის მიზნით;
  - 5.2.5 თანახმაა, ბანკმა არ მიაწოდოს ინფორმაცია მენაბრისთვის სასარგებლო ცვლილებების შესახებ;
  - 5.2.6 არ არის მეწარმე ფიზიკური პირი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით და არ გამოიყენებს მის ანგარიშ(ებ)ს სამეწარმეო საქმიანობისთვის;
  - 5.2.7 ბანკს უფლება აქვს კლიენტისთვის შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).
- 5.3 ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული იქნება Space-ის (ბანკის დისტანციური არხის) საშუალებით კლიენტის მიერ მიღებულ პროდუქტ(ებ)თან / მომსახურებასთან, კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე: [www.space.ge](http://www.space.ge)). კლიენტის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (თვე) სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი პრეტენზიის ბანკის მიერ მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ვებგვერდზე: [www.space.ge](http://www.space.ge) და ტელეფონის ნომერზე: 2711711.
- 5.4 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყვედება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება და გადაწყდება, მხარეთა შორის გაფორმებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების თანახმად.

## ავტომატური დაგროვების სერვისი - „Space ყულაბა“

1. დაგროვების სერვისი “Space ყულაბა“ (შემდგომში “Space ყულაბა“) არის საბანკო მომსახურება, რომელიც კლიენტს აძლევს საშუალებას დააგროვოს მოთხოვნამდე ანაზრის - „ყულაბის“ (შემდგომში „ანაზარი“) ანგარიშებზე თანხა წინასწარ განსაზღვრული დაგროვების სქემის (შემდგომ „დაგროვების სქემა“) შესაბამისად.
2. ანაზრის ხელშეკრულების პირობების კლიენტის მხრიდან დადასტურების (ანაზრის გახსნის) მომენტიდან, ავტომატურად აქტიურდება “Space ყულაბა“, რა დროსაც კლიენტს ეძლევა შესაძლებლობა ანაზარზე თანხის განთავსება მოახდინოს Space აპლიკაციის (ბარათებით განხორციელებული თანხების გადარიცხვის) მეშვეობით და/ან ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული წესებისა და ლიმიტების შესაბამისად, ანაზარზე თანხის შეტანით.
3. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოახდინოს ზემოაღნიშნული დაგროვების სქემის ცვლილება და მისი სურვილისამებრ, ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრული სქემებიდან ერთ-ერთი დაგროვების სქემის არჩევა. ამისათვის, კლიენტმა უნდა განხორციელოს მისი სურვილის დაფიქსირება Space აპლიკაციის მეშვეობით (შემდგომში „განაცხადი“). კლიენტი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახდინოს დაგროვების სქემის შეცვლა სხვა სქემით, ან დაგროვების სქემის დეაქტივაცია, რა შემთხვევაშიც ავტომატურად ძალაში შევა წინამდებარე დოკუმენტის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი (პირობა).
4. დაგროვების სქემების გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ იმ ანგარიშ(ებ)ზე, რომელზეც რეგისტრირებულია ბარათი („ვიზა“ (VISA) ან „მასტერქარდ“ (MasterCard) პლასტიკური ბარათ(ებ)ი).
5. “Space ყულაბის“ გააქტიურების თარიღი, დაგროვების სქემა და სხვა დეტალები განისაზღვრება განაცხადით. განაცხადით კლიენტი ირჩევს იმ ანაზრის ანგარიშ(ებ)ს, რომელზეც სურს “Space ყულაბის“ გააქტიურება. “Space ყულაბა“ ძალაში იქნება, მანამ კლიენტს ექნება ანაზრის მინიმუმ ერთი აქტიური ანგარიში მაინც.
6. კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ქვემოთ მოცემული დაგროვების სქემებით:
  - დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით - თანხის დაგროვების მეთოდი, როდესაც ყოველი ტრანზაქციის (Space პლასტიკური ბარათით განხორციელებული ოპერაციის) შესრულების შემდეგ განაცხადში მითითებული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა ტრანზაქციის ვალუტით ავტომატურად იქნება გადატანილი შერჩეულ ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე. მომხმარებელი ასევე უფლებამოსილია განხორციელოს ფიქსირებული თანხის კორექტირება ნებისმიერ დროს.
  - დაგროვების სქემა თანხის დამრგვალებით - თანხის დაგროვების მეთოდი, როდესაც ყოველი ტრანზაქციის (Space პლასტიკური ბარათით განხორციელებული ოპერაციის) შესრულების შემდეგ ტრანზაქციის თანხა დამრგვალდება უახლოეს ჯერადამდე ტრანზაქციის ვალუტით, ხოლო ტრანზაქციის თანხასა და დამრგვალებულ თანხას შორის სხვაობის გადატანა მოხდება კლიენტის მიერ შერჩეულ ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე. მომხმარებელი ასევე უფლებამოსილია განხორციელოს თანხის დამრგვალების სხვადასხვა ჯერადობის წინასწარ არჩევა (განსაზღვრა) და მისი კორექტირება ნებისმიერ დროს.
  - დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით წინასწარ განსაზღვრულ რიცხვში - თანხის დაგროვების მეთოდი, როდესაც მომხმარებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და წინასწარ განსაზღვრულ რიცხვში, მის მიერ განაცხადში მითითებული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა ტრანზაქციის ვალუტით ავტომატურად იქნება გადატანილი შერჩეულ ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია Space აპლიკაციაში მომხმარებლის მიერ რეგისტრირებული ნებისმიერი პლასტიკური ბარათით (ემისირებული საქართველოს კომერციული ბანკების მიერ). მომხმარებელი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განხორციელოს ფიქსირებული თანხის კორექტირება და/ან მოახდინოს მის მიერ წინასწარ შერჩეული პერიოდულობის და რიცხვის ცვლილება.
7. კლიენტი უფლებამოსილია ერთ ანგარიშზე და/ან სხვადასხვა ანგარიშზე გააქტიუროს რამდენიმე დაგროვების სქემა. ამასთან, რამდენიმე დაგროვების სქემის გააქტიურებისას, ანგარიშზე ყველა მათგანის შესასრულებლად საკმარისი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში, ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე დასაგროვებელი თანხის გადატანა მოხდება იმ დაგროვების სქემის მიხედვით, რომლის არჩევა მომხმარებლის მიერ განხორციელდა პერიოდით უფრო ადრე.
8. ტრანზაქციის შესრულების შემდეგ დასაგროვებელი თანხის კლიენტის მიერ შერჩეულ ანაზრის ანგარიშ(ებ)ზე გადატანა მოხდება სრულად. იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის შესრულების შემდეგ ანგარიშზე არსებული ნაშთი დასაგროვებელ თანხაზე ნაკლები იქნება, დასაგროვებელი თანხის ნაწილობრივად გადატანა და/ან ტრანზაქციის დამახსოვრება (მოგვიანებით გადატანა) არ განხორციელდება.

9. იმ შემთხვევაში თუ განაცხადი ითვალისწინებს ერთზე მეტ შერჩეულ ანაბრის ანგარიშს – დასაგროვებელი თანხა (თანხა, რომელიც დაგროვების სქემის ფარგლებში გადატანილი უნდა იქნეს შერჩეულ ანგარიშებზე) პროპორციულად გადანაწილდება ყველა საანაბრო ანგარიშზე, ხოლო რომელიმე საანაბრო ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, დასაგროვებელი თანხა პროპორციულად გადანაწილდება დარჩენილ (მოქმედ) შერჩეულ საანაბრო ანგარიშებზე.
10. ბანკის მიერ დაგროვების სერვისის გაუქმება მოხდება ყველა იმ ანგარიშის დახურვისთანავე, რომელზეც გააქტიურებულია დაგროვების სქემები და/ან ყველა იმ ანაბრის დახურვისთანავე, რომელზეც გააქტიურებულია “Space ყულაბა“.
11. დასაგროვებელი თანხის შერჩეულ საანაბრო ანგარიშ(ებ)ზე გადატანა მოხდება ტრანზაქციის განხორციელების დღეს.
12. ამ დათქმების მიზნებისთვის ტერმინი „ტრანზაქცია“ / „ოპერაცია“ გულისხმობს - ბარათით, როგორც საგადახდო საშუალებით, საქონლის ან მომსახურების შეძენისთვის გამყიდველს/მომსახურების ობიექტს და ბარათის მფლობელს შორის განხორციელებული დებეტური ოპერაციას. ტერმინი ტრანზაქცია არ მოიცავს კონვერტაციას, კლიენტის ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვასა და ბანკის სალაროდან თანხის გამოტანას გარდა შემთხვევებისა, როცა თანხის განაღდება ფილიალიდან ხდება პოს-ტერმინალის მეშვეობით.